16/09/2021

სასწაული ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა, რომელი იყო მიასინეს (+864) – 01 (14) სექტემბერი

იმპერატორ ლეონ ისავრიელის (717-741 წლები) ხელმწიფობისას, ხატთაყვანისმცემელთა დევნისას, მიასინეს სავანის (სომხეთში, ქ. მელიტინის მახლობლად) კუთვნილი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი ღვთისმბრძოლებმა აზურის ტბაში შთააგდეს.

ასზე მეტი წლის შემდეგ, როცა კვლავ იზეიმა მართლმადიდებლობამ, ხატი სრულიად დაუზიანებლად ამოტივტივდა ტბის ზედაპირზე. ეკლესია ყოველწლიურად იხსენიებს 864 წლის 01 სექტემბერს მომხდარ ამ სასწაულს.

ტროპარი:

გიხაროდენ, მიმადლებულო ღმრთისმშობელო ქალწულო, ნავთსაყუდელო და შესავედრებელო კაცთა ნათესავისაო, რამეთუ შენგან განხორციელდა მხსნელი სოფლისა, ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომელი მხოლო ხარ დედა და ქალწული, მარადის კურთხეული და დიდებული, ევედრე ქრისტესა ღმერთსა მონიჭებად ყოვლისა სოფლისა დიდი წყალობა.

karibche.ambebi.ge